საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 8 1921 წ. სამშაბათი მარტის 8 № 8

სოციალისტ-ფედერალისტი

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი, სამშაბათი მარტის 8

რამდენიმე დღის წინ ჩვენ ვსწერდით, რომ საბჭოთა სისტემა ჩვენში ვერ მიიღებს ფაქტიურად დიქტატურის ხასიათს იმგვარად, როგორც ეს სხვაგან ახის შესაძლო. ჩვენ ვსწერდით, რომ დიქტატურა ფაქტიური და არა პრინციპინლური უმეტესად გულისხმობს ორს პირობას: მსხვილ ბურჟუაზიას და ტიპიურ, ჩამოყალიბებულ პროლეტარიატს, როგორც სრულიად გარკვეულ სოციალ კატეგორიას. ჩვენს ქვეყანაში მისი წვრილი მეურნეობით, წვრილი ალებ-მიცემობით შესაძლოა დიქტატურის მხოლოდ ისეთი გატარება, სადაც გათვალისწინებულია სახელმწიფოის გამოსვლა ეკონომიურ ცხოვრების რეგულიატორის როლში. ასეთ წყობილებაში საერთოდ პროლეტარიული შეიძლება არც არაფერი იყოს; ბურჟუაზიასაც შეუძლია დაადგეს სახელმწიფოს მიერ ეკონომიურ ცხოვრების რეგულიარიზაციის გზას, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურა ერთი სრულიად განსხვავებულ გარემოების მომასწავებელია. როდესაც ეკონომიურ ცხოვრებას ხელმძღვანელობს სახელმწიფო აპარატი, რომელიც მშრომელთა ხელშია, საქმე კეთდება უმრავლესობის ინტერესების მიხედვით და არა ერთი ჯგუფ ექსპლოატატორებისა.

ჩვენში დიქტატურა ვერ ლაისახავს მიზნად, რომ გასტეხოს წელში ბურჟუაზია, დაამსხვრიოს მისი კლასობრივ სიმტკიცეზე აგებული სახელმწიფო აპარატი და მშრომელთა ხელში გადასცეს მათი ნამაგარი—ფაბრიკა-ქარხნები.

ჩვენში წელში გასატეხი ბურჟუაზია არაა, რადგან საზოგადოდ არაა ბურჟუაზია, რომელსაც თავიც ჰქონდეს, წელიც და ფეხებიც. არც სამემკვიდროა რამე, გარდა ორიოდე თამბაქოს ქარხნისა. ამიტომაც მშრომელთა დიქტატურა არაა და არც შეიძლება გახდეს ჩვენში წვრილი სასოფლო მეურნეობის ქვეყანაში ბრძოლის ლოზუნგი. იგი არსებითად სხვაგვარ პირობებში სდგება და ნიშნავს კერძო თაოსნობის მინიმუმდე დაყვანას და სახელმწიფო ეკონომიკის განვითარებას.

ჩვენი პარტია ყოველთვის მოითხოვდა ერთხელ და სამუდამოდ ეკონომიკაში კერძო თაოსნობის შემცირებას, მისი თანდათანობით გაქრობას და ნაცვლად სახელმწიფოს ხელში ეკონომიურ ფუნქციების დაგროვებას. ამის მეტს არაფერს წარმოადგენს ჩვენს პირობებში დიქტატურა: სახელმწიფო აპარატი უმრავლესობის ინტერესებისათვის აკოძრავებული, ვერ შეეგუება კერძო თაოსნობას, რომელსაც უპირველესად ყოველისა კერძო მოგების და სხვების ექსპლოატაცია აქვს მიზნად. ასეთია ჩარჩოები, რომელშიაც აუცილებლად ჩადნება ჩვენში დიქტატურის პრინციპი.

დღეს ჩვენი აზრის სრულს დადასტურებას ვპოულობთ მოსკოვის მხრივ. „რუსული შაბლონი საქართველოსთვის არ გამოდგება"—ეი მოსკოვის მიერ ადიარებული დებულება. ამ დებულებაში დიდი გაგებაა იმ პირობებისა, რომლებშიაც უნდა აწარმოებდეს პრაქტიკული პოლიტიკა და თუ ჩვენში არ განმეორდა რაკოვსკის შეცდომა, სრულიად თავისებური პრესპექტივები იშლება სოციალურ შემოქმედებისათვის.

ჩვენი შეხედულება მოსკოვმა დაადასტურა, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მთელი სოციალ ეკონომიური მუშაობა კომუნიზმისა საქართველოში იძულებული იქნება წავიდეს იმ გზით, რომელიც ჩვენ იმ თავითვე საქართველოსთვის გათვალისწინებული გვქონდა და სპეციფიურ კომუნისტური ახალ წყობილებაში არაფერი დარჩება გარდა იმ თავისებურ სიტყვათა მექანიკურ შეერთებისა, რომელიც შეიძლება ეკონომიური იყვეს, მაგრამ უთანხმოდ ხშირად კარგი მერუსულესთვისაც გაუგებარია.

ფიქრები

ფურცელი 3.

ჩვენს რედაქციაში თითქმის ყოველ დღე კიდევ შემოდიან დაღვრემილი მოქალაქენი და მიუხედავად რევკომის განკარგულებისა სრული ნაციონალიზაციის გატარების შესახებ. ყველა დაწესებულებებში, მაინც აცხადებენ, რომ მცირე დაწესებულებებიდან ქართული ენა სრულიად განდევნილია, ანდა ამ ენაზე დაწერილ აზრების მიღება შეწყვეტილიაო.

როგორც სჩანს, შავრაზმელი ელემენტები მაინც თავისას განაგრძობენ და უზურპაციით სცდილობენ განდევნონ აქედან ქართული ენა, ის რასაც მეცნიერები ერის ფსიხიურ ფაქტორს უწოდებენ.

ქართველ ხალხს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში იმისდა მიუხედავად რომ აქ კლასობრივ ეთანასწორობას ქონდა ადგილი ერთი რამ მაინც აერთებდა, ეს იყო დიდა ენა და კულტურა—მისი ისტორიული ტრადიციების, ზნე ჩვეულებების შემანარჩუნებელი.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ რომ ჩვენი ხალხი ყოველ ბრძოლაში იცავდა თავის შობლიურ ენას—ენის დაცვა მას მისი თავისუფლების დაცვად მიაჩდა და ნურას უკაცრავოდ, რომ იგი სასტიკად შეებრძოლოს მას ვინც მოინდომებს მისი ენის შეურაცყოფას მის იქედან განდევნოს.

ჩვენ საერთო განუყოფელ მოქმედებას ერის სასარგებლოთ შეგსძლებთ ჩვენი ენისა და კულტურის წყალობით რომელიც საუკეთესო ფარხმალია ბრძოლისა. იმ ბრძოლისა რომელიც ჩვენი სიცოცხლის მაჩვენებელია მათი კი ამა ქვეყნიდან აღმოფხვრისა.

ამის შემდეგ უნიათო ცდათ უნდა ჩაითვალოს ქართული ენის დაჩრდილვის წადილი—დეე იცოდეს ყოველმა უსურმა „ჩინოვნიკმა", რომ მისი ცდა სასაცილოთ არ ყოფნის ქართველ ხალხს...

მივაქცევთ ამით რევკომის ყურადღებას ვფიქროფთ რომ მან აუცილებლათ ყური უნდა აუწიოს თავგასულ მოხელეს.

დათიკო პერეგიხალი.

ახალი ამბები

— **ფაქტები.** სასტუმრო „ერმიტაჟში" მოთავსებულია ქალაქის მილიციის სამეურნეო ნაწილის განმახაწილებელი ბიურო, სადაც არც ერთი მოსამსახურე პირი არ არის ქართულის მცოდნე და საქმის წარმოებაც რუსულ ენაზე სწარმოებს.

ქალაქის სამოსწავლო განყოფილებაშიაც ვიღაც ქალბატონს უცდია არ მიეღო ქართულად დაწერილი ქაღალდი... საჭიროა ყოველსავე ამას სასტიკი ყურადღება მიექცეს.

გრუპპაპროსტას გიულეტენი № 8

ლენინი საქართველოს კომუნისტების ტაქტიკის შესახებ

მარტის 3 საქართველოს რევკომის წევრნი ორახელაშვილი და ელიავა პირდაპირი მავთულით იყვნენ გაძახებულნი მოსკოვიდან. ამბ. სტალინ-ჯუღაშვილის პირით ლენინმა მომართა მათ შემდეგი მოსალმებით და კითხვებით:

„გადაეცით ქართველ კომუნისტებს და განსაკუთრებით რევკომის წევრებს ჩემი უმხურვალესი სალამი კომუნისტურ საქართველოსადმი. დაბეჯითებით გთხოვთ მაცნობოთ, არის თუ არა სრული თანხმობა ჩვენს შუა შემდეგ სამ კითხვაში:

პირველი: საჭიროა დაუყონებლივ შეიარაღოთ მუშები და უდარიბესი გლეხები და შექმნათ ძლიერი ქართული წითელი ლაშქარი.

მეორე: ხომ არ მიგაჩნიათ საჭიროთ შედავათიანი პოლიტიკა ქართველ ინტელიგენციისა და წვრილ ბურჟუაზიის მიმართ. იქნება არ მიგაჩნდეთ საჭიროთ წვრილი ბურჟუაზიის ნაციონალიზაცია, პირიქით, იქნება საჭიროა მათი მდგომარეობის გაუმჯობესობა და კიდევაც მისცეთ ნება განაგრძონ წვრილი ვაჭრობა.

მესამე: ხომ არ მიგაჩნიათ საჭიროთ რაიმე შესაძლებელი შეთანხმება ქორდანიასთან და სხვა ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ ისევ აჯანყებამდე არ იყვნენ სრულიად წინააღმდეგნი იმ აზრისა, რომ საქართველოში ყოფილიყო საბჭოთა წესწყობილება. საზოგადო ქართველ კომუნისტებს შეუძლიანთ მოიქცნენ ისე რომ არ მისდიონ რუსეთის შაბლონს და დაადგენენ უფრო შედავათიან თავისებურ პოლიტიკას ყოველგვარ წვრილ ბურჟუაზიის მიმართ, გთხოვთ პასუხს.

პასუხი ამბ. ელიავასა და ორახელაშვილისა

უპირველეს ყოვლისა გადაეცით ლენინს ჩვენი აღტაცებული მადლობა მოლოცვისათვის და ჩვენი უღრმესი რწმენა, რომ იგი არც ერთის წუთით არ დაგვივიწყებს ჩვენ, ქართველ კომუნისტებს, და არ დაგვაკლებს გონიერ რჩევას და დარიგებას, და დაგვიფარავს იმ შეცდომებიდან, რომლებიც აუცილებელია პროლეტარულ ტაქტიკის გადატარების დროს. იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს წვრილი ბურჟუაზიული წესწყობილება ცხოვრებისა და ურთიერთობისა.

დასმულ კითხვებზე გიპასუხებთ: სამივე კითხვის შესახებ ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ამბ. ლენინს და ვადასტურებთ ამბ. ორჯონიკიძეს აზრს, რომ ჩვენს რაზმებში მეფობს ერთსულოვნობა წამოყენებულ კითხვებში.

დამოუკიდებელ და თავისუფალ საბჭოთა საქართველოში, მის თავისებურ სოციალურ სტრუქტურისა და კლასთა ურთიერთობით, ჩვენ სრულიად უარვყოფთ შაბლონებს და პირველი დღიდანვე ტფილისში შემოსვლისა დავადექით თავისებურ ტაქტიკას, რომელსაც ეხლა გვირჩევს ამბ. ლენინი უკვე შეუდექით და ამ დღეებში დავამთავრებთ პროგრამას ქართულ წითელ ლაშქრისას, რომელმაც უნდა დაიცვას მუშა-გლეხთა მთავრობა და დაიფაროს დამოუკიდებელი სოციალისტური რესპუბლიკა გარეშე და შინაურ მტრებისაგან.

ქართველ და საზოგადო ადგილობრივ ინტელიგენციას ჩვენ ვიქცევით სრულის კეთილის ნდობით. ჩვენ ვეცდებით ჩავაყენოთ ინტელიგენცია შრომისათვის საკეთილო პირობებში და მივცემთ სრულ თავისუფლებას გაავითარონ სადა ნაციონალური კულტურა სამშობლო ენის ნიადაგზე.

მენშევიკების ბოიკოტმა განუწყვეტელმა პროპაგანდამ დატოვა სხვა და სხვა საზოგადო წრეებში ისეთი კვალი, რომ ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბოლშევიზმი საქართველოში ნიშნავს ძალ დატანებით წაშლას ყველაფერ ეროვნულისას და დანგრევას ეროვნულ კულტურისას. მაგრამ ჩვენი მოსვლისათანავე ყველანი დარწმუნდნენ, რომ ყოველივე ეს ტყუილია და აგრეთვე ტყუილია სხვა მრავალი მოგონება და მითქმა მოთქმა ბოლშევიზმის საშინელებაზე, რევკომში ერთი მეორეზე მოდიან დელეგატები სხვა და სხვა საზოგადოებისა, მეცნიერებისა ტექნიკურისა და სხვ. საზოგადოებიდან, პარტიულ და უპარტიო ინტელიგენციიდან და აცხადებენ, რომ მზათ არიან იმუშავონ საბჭოთა მთავრობასთან ერთად, არა შიშისა გამო, არამედ კეთილ სინიდისიერად. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახალმა მთავრობამ და ინტელიგენციამ უკვე შეიგნეს ერთმანეთი და ეს შეგნება თანდათან გაძლიერდება შემდეგში მუშაობის მიმდინარეობაში.

წვრილი ბურჟუაზიის დაჩაგვრა ჩვენ არაგვსურს, წვრილი ვაჭრობის აკრძალვა ფიქრათ არ მოგვსლია. სიფრთხილეს გამოვიჩენთ აგრეთვე სოფლად წვრილ მესაკუთრეთა ურთიერთობის რეფორმების დროს. ხოლო გლეხთა საბჭოების იდეას განვაორციელებთ სრულიათ და წმინდათ.

ჩვენ არ გაურბიენართ შეთანხმებას, მემარცხენე პარტიებთან, მათ შორის მენშევიკებთანაც რამდენათაც იგინი არიან საქართველოში. შეურიგებლობა და შურის ძიება ჩვენ უკუ ვაგდეთ ჯერ ისევ ტფილისში შემოსვლამდე და გამოვცხადეთ 25 თებერვლისთვის სრული ამნისტია. ჩვენი თანხმობით წარმომადგენელნი პარტიულ და უპარტიო ინტელიგენციისა გაემგზავრნენ ფრონტის იქით მოსალაპარაკებლად ყოფილ მთავრობასთან და დამფუძნებელ კრებასთან შესახებ ომის მოსპობისა, რადგანაც ბრძოლის განგრძობა უიმედოა და აგრეთვე შეთანხმების შესახებ ახალ მთავრობასთან იმ პირობით, რომ აღიარებულ იქმნას საბჭოთა სისტემა.

შედეგი ჯერ არ ვიცით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უაზრო ჯიუტობას ჩვენ არ შევწირავთ ცხოველ ინტერესებს მშრომელ მასსებისას. რომლებიც იტანჯებიან ომის გაგრძელებით.

საბჭოთა რუსეთში

(გრუპკავროსტას ცნობებიდან)

როგორ გაგაუმჯობესოთ მოხაგალი.

მოსკოვი. 6—3. (რადიო) სრულიად რუსეთის დათესვის კომპანია ა წარმომადგენლების ყრილობაზე პროფესორ პრიჟანიკოვმა გააკეთა მოხსენება მოსავლის გაუმჯობესება შეიძლება დამუშავების უკეთეს წესით და პატივის რაოდენობის გაძლიერებით. პატივის უქონლობის გამო უნდა გამოყენებულ იქმნას ტორფი, ფასფორიტი და სხ.

პეტროგრადში.

მოსკოვი. (რადიო). სათბობ მასალის უქონლობის გამო დაბურულმა თაბაქოს ფაბრიკამ განაახლა მუშაობა. ფაბრიკა უზრუნველყოფილია ნედლი მასალით, სადაც იმუშავებს ორი ათას მუშამდის

სათბობი ფრონტი.

პეტროგრადი. 4—3. შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით პეტროგრადის-პროლეტარიატს დაეკვალა დაემზადებინა 25.000 კუბი შეშა ერთი თვის განმავლობაში. თებერვალში დამზადებულია 27.535 კუბი. 11 პროცენტი მეტი შენაკვეთზე.

დიდი თესვა.

ჩერეპოკების გუბერნიის გლეხებს ნება მიეცათ ტყის გაჩეხვის შემდეგ, გადასწვან ხიხ ძირები, ამით მზადდება ნიადაგი თესვისათვის. ეს ხელს უწყობს სათბობ მასალის დამზადებას და ამასთანვე დიდდება სათესი ადგილები.

მუშების გამოკვება.

მოსკოვი. 5—3. (რადიო) ურალის მრავალ ქარხნებში შეუდგენ მუშებისათვის სპეციალურ სასადილოების მოწყობას. ყველა ორგანოები ეხმარებიან ამ სასარგებლო საქმეს. შეგროვილია სამყოფი მოწყობილება.

უცხოეთში

(გრუკავროსტას ცნობები).

უკრაინაში.

მოსკოვი (რადიო) ანტანტის აგენტები და თეთრგვარდიელები სცდილობდნენ უკრაინაში ხელი შეეშალათ წარმოებისთვის. მუშები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მუშაობის გარეშე პირობებს და ქარხნებს ერთი-მეორეზე ამუშავებენ. ამერიკაში შეკეთებულია და ამუშავდა კრასნალის ქარხანა.

მომავალ ნაგვაციისთვის.

მოსკოვი (რადიო) კალუგიდან მიღებულ ცნობებით დამთავრებულია მოსამზადებელი მუშაობა ხე-ტყის მდინარეებით ჩამოტანისთვის დამზადებულია მასალები, მოწყობილია ნავსადგურები, მოწვეულია მუშები. 1921 წელს უნდა გამოტანილ იქმნას ტყიდან 2½ მილიონი კუბიური საჟენი ტყის მასალა.

გერმანია და საბჭოთა რუსეთი.

პარიზი. „ეკსცელსიორ"-ის ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ კლარაციეტკინა გამოვიდა პროტესტით იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ დამოუკიდებელი სოციალისტები საბჭოთა რუსეთის მიმართ. შეეხო რა კომერციულ გაცვლა-გამოცვლას გერმანიასა და საბჭოთა რუსეთ შორის, კლარა ცეტკინმა განაცხადა", საბჭოთა წარმომადგენელის ბერლინში ვიქტორ კოპის წყალობით გერმანიაში იყო შეკრებილი 300 მილ. მარკის დამზადება. ეს შეკვეთება ვერ შესრულდა, რადგანაც გერმანიამ ნება არ დართო სპეციალისტების იქ ყოფნაზე: შემდეგ კლარა ცეტკინამ აღფრთოვანებით მოიხსენია საბჭოთა რეჟიმი რუსეთში და გამოსთქვა სურვილი გერმანიაში იმავე რეჟიმის დამყარებისა.

ინდოეთი დგება.

დინდოანი ალიხაბაბიდან (ინდოეთი) „ადეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ უთხას ოლქში აჯანყებამ იჩინა თავი მდგომარეობა ძლიერ სერიოზულია. კიზომაში დანგრეულია 60 სახლი. ლიუკნოვში ბრიტანეთის პოლიციის დიდი ლაშქარია თავმოყრილი, რომელიც გაეგზავნა აჯანყებულ ადგილებში. უკვე 10,000-ამდე აჯანყებულები ითვლება; მათი რიცხვი სწრაფად იზრდება. პოლიცია ჯარის მხრით დახმარებას თხოულობს, მაგრამ ბრიტანეთი გუბერნატორს ეს ზომა ადრეულად მიაჩნია.

რედაქტორი თედო ლალიტა.
გამოსცემს დრ. მთავარი კომიტეტისა.

სტამბა „სახალხო საქმე" კალოუბნის ქუჩა № 14.